ხელშეკრულება

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(31710000-ელექტრონული მოწყობილობები)

გორი 26 ნოემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნე“**, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, იამზე თინიკაშვილის სახით, მეორე მხრივ **შ.პ.ს ,,კომფორტ პლიუსი”**, შემდგომში ,,მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ვანო მაისურაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია 1 ცალი ელექტრო გამათბობელი

2. სახელშეკრულებო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 160-00 (ასსამოცი) ლარი.

3. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერსონალური კომპიუტერის მოწყობილობებისა და აქსესუარის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილი ვადის მიხედვით.

3.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია,

მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია,

მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს დირექტორი იამზე თინიკაშვილი.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია შეამოწმოს ტექნიკური მომსახურების ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადასტურების მიზნით, მომსახურების მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
7.2 პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
7.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი იამზე თინიკაშვილი.
7.5 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი კახაბერ ბედიანიძე.
7.6 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;
9.2 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების შემდეგაც გონივრულ ვადაში არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;
9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
13.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

14.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
გაზეთი „გორის მაცნე“
ს/კ 417873849
მისამართი: ქ.გორი სტალინის 16
ტელეფონი: 0370 27 34 83
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
740907499

დირექტორი
იამზე თინიკაშვილი

Iamze Tinikashvili
Digitally signed by Iamze Tinikashvili
Date: 2019.11.27 17:56:16 +04'00'

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „კომფორტ პლიუსი”

ს/კ 417878498
მისამართი: ქ.გორი ცხინვალის N 6ა
ტელეფონი: 599400044
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE38TB7385336020100001
„თიბისი ბანკი”, კოდი: TBCBGE22,

დირექტორი
ვანო მაისურაძე